

მ ვ ყ ე მ ს ი

რ უ ი ც ი ა ლ უ რ ი ნ ა წ ი ლ ი .

ვირი.

უქაზი მისი იმპერატორებითი უდიდებულმოსოვისა, სრულნიად რუსეთის თვითთავრობელისა, უწმიდესის და უმართებელის სინოდისგან

იმერეთის ეპისკოპოსის მადრიელისადმი 19 ივნისიდან 1890 წლისა № 12.

უქაზის მებრ მისი იმპერატორებითი უდიდებულმოსოვისა, უწმიდეს და უმართებელს სინოდს მსჯელობა ქქონდა შესახებ მართლ-მადიდებელი ხალხის სწავლებისა ტაძრებში ქრისტის საწმინდოების ჭეშმარიტებისა და კეთილი ცხოვრებისადმი. ბრძანეს: უწმიდესი სინოდი დიდი ხნიდან ცდილობს მართლ-მადიდებელ სამწესთა განათლების შესახებ და წრუნაჲს გაძლიეროს ეკლესიური დაჩუგება მართლ-მადიდებელი ხალხისა საწმინდოებისა და კეთილ ცხოვრების შესახებ. ამის გამო არა ერთ გზის იყო მიწერილი, რომ დიდ სამკვლავან ეკლესიაში შემადგებულ ყოფილიყო მუდმივი სწავლება ქრისტიანული სწავლისა, ყოველს კვირა დღეს, წირვის წინ ანუ მის შემდეგ, რიგისა მებრ. ნიჩვენები იყო, რომ ამისთანა საუბრებში გამოხატული ყოფილიყო საჭირო ჭეშმარიტებისა და ქრისტიანული მრავალბინი მსმენელთა მოთხოვნების მისედაცთ, და რომ ამ საუბრების კნა ყოფილიყო გასაკები და მდაბიო (უქაზ- უწ. სინოდისა 25 იანვრიდან 1821 წ.). ამ უგანსხვებების საფუძვლად, სხვათა შორის, ის იყო, რომ უმეტესი რიცხვი ხალხისა, განსაკუთრებით მდაბიო ხალხისა, წერა-კითხვის უცოდინანრობისა გამო თავის შვილებსაც არ ასწავლის განიერიად ქრისტიანულს ჭეშმარიტებათ. თუმცა ადგილობით კატეხიზურ საუბრებს და უკვლავ გაგრძელებულს წერა-კითხვის თავის ნყოფიერა ზედგაუენა აქვს, მაგრამ კიდევ არ შეიძლება ითქვას, რომ ხალხის უმეტეს რიცხვს შეგნებული ქქონდაჲს აუცილებელი ქრისტიანული ჭეშმარიტებისა. ყოველ დღიურ გამოცდილება გავწმუნებს, რომ მრავალნი, რომელნიც თავის თავს მართლ-მადიდებელს უწოდებენ,

სულიერად უციინი არიან; საკმაოდ არ ესმისთ და არ შეუძლიათ განმარტონ, რას ერწმუნებინ; უსაჭიროესი ლიტურგია არ იციან, ანუ ამერკებენ ლიტურგიის დასუ-პირებულ სიტყვებს გაუგებლად; ასრულებენ ეკლესიურ დადგენილობათა, მაგრამ არ ესმისთ მათი სულიერი მნიშვნელობა და ურთავენ მათში ამაოდ-მარწმუნე ჩვეულებათა; სექციული აქვსთ სასიარტხო, ცუდი სიტყვაობა არ მიხნიათ ცოდვად; წინააღმდეგ ზოგიერთნი ბიწიერებასი, მგალითად, შუკის ძიება, მიხნიათ ქველსაქმედ. წმიდა ეკლესია პირველიადგანვე დადგენილი იყო საწმინდოებისა და კეთილ ცხოვრების მსოფლიო სასწავლებლად უველასათვის, დიდთა და მცირეთა, მდიდართა და ღარიბთათვის იგი ერთნაირად იყო გაღებული. დღეს კი, როცა უველგან შეიგნეს განათლების საჭიროება, და მასთან გამრავლდა ცრუ სწავლა და ცრუ მასწავლებლები, რომელნიც გულს უცვლიან ახალგაზდებს საწმინდოებაზე, — ფრიად საჭიროა ეკლესიური დაჩუგება მართლ-მადიდებელი ხალხისათვის, დღემდისაც არიან უციინი, გზა დაკარგულნი, ამიტომ საჭიროა იყვნენ მასწავლებელნიც. წმიდა მტოქულებმა გვხვენეს ჩვენ, კინ არიან ეს მასწავლებელნი, რომელნიც ვაღებულნი არიან განათლონ ხალხი, კინ არიან ეს პარნი, რომელნიც მასუხის მტებელნი არიან ხალხის გაუნათლებლობასათვის. მტოქულთა დადგენილობის 58 თავი ამბობს: «პისსკაპოსი, ანუ მღვდელი, რომელიც არ ზრუნავს კრებულზე და ხალხზე და არ ასწავლის მათ კეთილ-ცხოვრებას, იქონს განუენებულად. რომ ეპარქიისა და ადგილობითი ეკლესიების გამკეთ სინდისის სიწმინდით შეესმინათ ეკლესიური სამსჯულოს ესეთი მუქარა, VI მსოფლიო კრებამ დაადგინა შემდეგი სასკლმდგენელ წესი (19): «ეკლესიების წინამძღვართ ყოველ დღე, უმეტეს კვირა დღეებში, ასწავლონ კრებულს და ხალხს კეთილ ცხოვრება, ამისათვის ადირჩიონ საღმრთო წერილისაგან შეგნებული და განმარტებული ჭეშმარიტებისა დაწესებულ სამღვრებთა გადუცილებლად და ღვთის მისაჲ მამათა ზეპირ-გადმოცემათ თანხმად: და თუ განმარტებულ იქმნება სიტყვა წერილისა, არა სხვა ნი-

რად, ანამედ ისე, როგორც განმარტეს ეკკლესიის მნათობთა და მასწავლებლებმა». ამ წესდებულების ძალით ხალხის საუბრები უნდა იყენენ მუდმივი, უოკელ დღიური, განსაკუთრებით დღესასწაულ და ჭვირა დღეებში, ვინაიდან ღვთაებრივი სწული ამ დღეებში ანთავისუფლებს კაცს მუშაობისაგან. ხალხს უნდა ასწავლონ წინამძღვრებმა, რომელიც არიან მთელს ეპარქიაში მღვდელმთავრები, ხალხ მათი სქემდღვანელობით თითოეულს ტაძარში და სამკველავებში მღვდლებმა. ვინაიდან ეპისკოპოსს ან შეუძლია თვითონ პირის-პირ გადასცეს სწავლა უოკელთვის და უოკელან ეპარქიებში, ამიტომ ის ანაწილებს მასწავლებლებს: მკვლავობას მისდამი რწმუნებულ მღვდელთა შორის, რომელთაც უნდა ასწავლონ არა თავის ნებისა მებრ, ანამედ ეპისკოპოსის ნებართვით» (გალსმან. განმარტ. საქ. წმ. მცტიქულთა გვერდი 119) და მისი ბრძანებით. რისა გამო, ემცნება თითოეულს მღვდელს ვურთხევის სიტყვით: «უოკელ დღე ვიგითხრა საღმრთო წიქრილი, და არა სხვანაირად ავსნა იგი, არამედ როგორც მართა ზენთა განმარტეს, და ასე ჩაბარებული ვასწავლო მასს». სწავლების სავანს შეადგენენ სარწმუნოების ჭეშმარიტებისა და ზნეობის კანონები, საზოგადოდ, «სიტუკანი გეთილ ცხვრებისა». თავისი განმარტებანი და მსჯელობანი მწუემსმა უნდა დაფუძნდეს საღმრთო წიქრილზე და წმიდა მამათა სწავლაზე, და თვითონ საღმრთო წიქრილი განმარტეს აწსებულ სასქემდღვანელობისა და განმარტებათა თანახმად, რომ ან განშორდეს, რაც ჭერ არს» (19 კანონი მე-VI მსოფლიო კრებისა). ამ მაგალითით მწუემსთ უზენეს პიჩველმა მათმა წინამოადგილებმა, რომელნიც ასწავლიდნენ მარწმუნეთა ღვთის მიერ გადმოცემულ სწავლას და ვათლელი ეკკლესიის ზეპირ-გადმოცემას (წიკ. მართლ. დოდ. VII მსოფ. კრებისა). საფუძველსა ზედა ზევით მოყვანილ კანონდებულებათა და მართლ-მადიდებელი სამწესიოს სულიერ საჭირკებათა მიხედვით, უწმიდესი სინოდი განაწესებს: შემოდებულ იქმნეს თითოეულს სამკველავში სარწმუნოების სასწავლო საუბრები შემდეგ საფუძველთა ზედა: ა) საუბრების შინაარსად უნდა იქონს სწავლა სამ-პირზე, ღვთის ძის განხორციელებაზე, ეკკლესია და საიდუმლოები, განმარტება წიქრისა და სხვათა მღვდელ-მცქედებათა, რომელნიც სშირად განმეორდებობს ხალხზე, დასაფლავებითი, მოხსენებითი და ატრეთვე ზენა ეკკლესიის სხვა ზვეულებრივი წესები, პიჩვირის წიქრა, და უოკელავები, რაც ტაძარში იხედება და რაც მასში სრულდება, ამისთანა საუბრები არ უნდა იყენენ

შედგინილი განუენებით მსჯელობითა სახით სარწმუნოების საუბრებზე, რომელიც მხელად გასაკება სალხისა. თვის, ანამედ უნდა შედგინილ იქმნენ უბრალო განმარტებათაგან სარწმუნოების იმა ჭეშმარიტებისა, რომელთაც მართლ მადიდებელი იღებს გულით და გამოხატავს პირით. სარწმუნოების სასწავლო ნაწილს დაწრთული უნდა, ჭქონდეს ზნეობითი სწავლაც. ამისათვის საჭირკა განმარტებულ იქმნეს ღვთის მცნებანი, მოთსოვნილ უნდა იქმნეს, რომ სამკველავ სარწმუნოებისა იგითსებოდეს ვარვევით, უნდა ასწავლონ უველა მსმენელთა ღვრები, საფულო ღვრებიდან მოყოლოებული, გაუგებელი სლავიანური სიტუკების განმაცრებით, ამიღონ ის ბიწიკებანი, რომელიც ზოგიერთს ადგილებში განმკვლავებულა, აღძრან ჭველ-მცქედება დარბებითი სიტუკით და გეთილი კაცების და ღვთის მოსავ პირთა მაკალითების ჩვენებით; ბ) ამისთანა საუბრების წარმოების მოკვლობა ადვის უველა დეკანოზებს და მღვდლებს, რომელიც ამ შრომის შესამსუბუქებლად, შეუძლიათ მოიწვიონ საუბრებში მონაწილეობის მისაღებად თავისი ადგილობითი მთავრები და მეღვთიონნი, მათი მომზადებასა და მუყათობის დაკარად, მაგრამ თავისი პირდაპირი ზედამხედველობით. საუბრების წარმოების მოკვლობისაგან არ თავისუფლებიან სასწავლებლების საღმრთო სწულის მასწავლებლებნიც, თუ ისინი არიან სამკველო ეკკლესიების მღვდლები. ატრეთვე სხვა სამსახურთა მღვდლები: როგორც უნდა იქმნეს მოკვლობანი და სამსახური, რომელსაც იღებენ მღვდლები თავის თავზე საზოგადო ასმარზეზე, — უველაზე პირველა ადგილი ეკუთვნის მწუემსებრი მოკვლობას საღმრთო სამსახურისა ტაძარში და მასწავლებლობისას, — რისთვისაც თითოეული მღვდელ მოსამსახურე ვალდებულია პასუხი მისცეს განსჯას დღეს ქრისტის სულითათვის, რომელიც მას ჩაბარებული ჭეკის; გ) საუბრები უნდა სწარმოებდნენ უოკელს დროს, მაგრამ ატრელეზად კვირა და უქმ დღეებში, ვინაიდან ამ დღეებში, როგორც იტუვის ზონარა, ხალხი თავს ანებებს მუშაობას, იკრება ტაძარში და ისმენს საღმრთო წიქრისს. ამიტომ ამ დღეებში თუ მეტს ასწავლიან, უმეტესი სატვებლობა იქნება ხალხისათვის». (მართლ. კრებ. აღსნით ნაწილი მეორე, გვერდი 314). საუბრები შეიძლება მოხდეს წიქრის წინათაც, განსაკუთრებით იმ სოფლებში, სადაც მკვიდრნი მოსულნი ცისკრის მოსამსახურად, ალარ ბრუნდებიან სასლებში წიქრამდის. მაგრამ დამოუკიდებლად ამის საჭირკა საუბრები გაიმართოს მწუესის შენდებრ,

რომელიც ამისათვის ადრე უნდა დაიწყო და აღსაკრულად წასწავლის თანხმად, გადამდებ და უფლები დაწესებულების წევრთაგან. ამ წესის შესრულებას უნდა მიხედონ ადგილობრივი სკოლის მონაწილეები, და მოაწვიონ მგალობელთა დასი, სადაც კი არის იგი. მწესის შემდეგ, ანუ იმავე ტაძარში, ანუ მის მახლობლად, ანუ რომელიმე შენობაში ტაძრის მახლობლად, უნდა გაიმართოს სასაზღვრო, რომელიმე წევრს მსმენელთა შეუქმნათ კვლევა დასახლები; დ) სასაზღვრო უნდა წარმოებდნენ სადამკრთო წევრის სახელმძღვანელოებს და წმიდა მამათა ხელების თანხმად, ცოცხალი, უბრალო და ადგილად გასაგებო ენით, უნდა სიტყვების უხმობად. შეადგება წევრთაგან იქმნეს რვეულები და წიგნი. მაგრამ დასამტკიცებლად იმისა, რაც თქვა წევრად, და კი ხვა უნდა იყოს არა ხანგრძლივი და მისთან გარკვეული და გასაგებო; ე) ბავშვებს უნდა ასწავლონ სარწმუნოება, სხვა და ღონისძიებო, ასწავლონ, რათა ისინი დარსულად მოაზრებინდნენ მოკლეობას. ამიტომაც ბავშვებზე უნდა მოიყვანონ სასაზღვრო დასასწავლებლად, რომლებზედაც კითხვა და კითხვის შორის შეიძლება მიღებული იქნეს კითხვები, ვინ არ იცის და როგორ ესმის. უნდა დანართ უნდა ასწავლონ ღონისძიებო და სარწმუნოების ზნეობა დაწესებითი სწავლა. გერმად იმ ბავშვების შესახებ, რომლებზეც მუშაობენ ქანებში ანუ იმყოფებიან მხატვრობის სასწავლებლად, ადგილობრივით სამკრეფლოთა მღვდლები ვადებუდნი არიან იქონიონ განსაკუთრებით მკრეფლობა. მაგალითი გვიჩვენებს, რომ ეს ბავშვები მოკლებულნი არიან ჟურნალის წყდამხედველობას და აღმზრდელობითი ხელმძღვანელობას. ვის შეუძლია გაუწიოს მათ მათი მშობლების და ხელმძღვანელების მიხედვით, იუ არა ეკლესიის მწესით? ამიტომ მღვდლებმა უნდა ჩაატონონ ქანების მხატვრობებს და სახელმწიფო სასწავლებლებისს, რომ მათ არ დაუშლონ ბავშვებს დღესასწაულებში ტაძარში წასვლა სასაზღვროს მოსასმენად და სარწმუნოების დასწავლის სწავლას და კეთილი ცხოვრების შესასწავლად, მათი ხეობის და მღვდლობის მიხედვით. საზოგადოთ, რაც არა თუ მარტო ბავშვებმა, არამედ განსაკუთრებით დიდებულნი არ იციან თვით უსაქონისა და სახმარებელი ღონისძიებო, მაშინ ეს სამწესობო მოკლება მრველის მღვდლის პასუხის გებას შეადგენს და ამისათვის იგი შეიძლება მხილებულ იქნეს, რომ უფლებიგე ზემო აღნიშნული სინამდვილით სრულდებოდეს ეკლესიის დაფუძნებდგან, რომელიც გეგმინა ქრისტი დემოკრატულია; მის მარწმუნე მოსამსახურეთ, უწმიდესი სინოდო მოკლებობადა სთვლის ხელახლად განიშორებს უფლებს ადგილს; ამ დადგენილ განკარგულებათა აღსაკრულებისათვის დაბეჭდილი უქაზები გეგმინის ეპარქიის მღვდელ-მთავრებს, მათი იმპერატორებო თუ დიდებულნი სობათ მომდგარს და თვალისა და ხელის უფროსს მღვდელს.

ნამდვილ უქაზებდ ხელი უწერათ: იბერ-სერეტარს ა. გავრილოვს სერეტარს ი. უდროს.

განხილება საქართველო-იმერეთის სინოდალნი განტარისა შემწეობის აღმოჩენისათვის ზოგადოთა რუსეთის ეპარქიების დაძმულ მცხოვრებთა.

1891 წელს სექტემბრის 13 დღეს. უქაზისა მებრ მისი იმპერატორებოთი უმღლესობისა, საქართველო-იმერეთის უწმიდესი და უმატებულესი სინოდის განტარამ მოსამინა: 1) დადგენილობა უწმიდესი სინოდისა, 21 წარული აგვისტოდან № 2139, დაბეჭდილი «საეკლესიო უწყებთა» მე 34 №-ში შესახებ უწმიდესი სინოდის განკარგულებისა ზურის მოუსაგლოებისა გამო რუსეთის ზოგიერთ გუბერნიებში; 2) უქაზი უწმიდესი სინოდისა, 23 იმავე აგვისტოს თვითგან № 10 მასზე, რომ უწმიდესი სინოდს მსჯელობა ჰქონდა იმ უბედურებაზე, რომელიც ეწია რუსეთის ზოგიერთი გუბერნიების მცხოვრებთა ზურის მოუსაგლოების გამო და იმ უბედურს სჯირობაზე, რომელსაც ითმენს ამ ადგილებში სამღვდელთა. ვინაიდან მრავალი მღვდელ-მთავარი აღმწებენ უბედურს მღვდლობას სთვლის სამღვდელობისა, რომელიც სჯირობებს მიუხედავებულ შემწეობას ეპარქიებში, სადაც მოუსაგლოება იყო, უწმიდესი სინოდო სჯიროდ სცნობს: 1) აღნიშნოს ამ ეპარქიების სამღვდელთა ერთ დროებით შესაწევრლად 25,000 მინათი, სამღვდელთაისთვის შესაწევრლ თანხადამ (§ 5 უწმიდესი სინოდის ხარჯთა-აღმზრებისა 1891 წ.) და 2) მიენდოს ეპარქიების მღვდელ-მთავრებს, მიუხედავებულ სჯირობის დროს, ამდროს სამღვდელთაის ადგილობრივი ეპარქიული სამზრუნველობის თანხადამ სესხი მოკლე ვადით, სარგებლის გადახდით არა უმეტეს 5% წელიწადში. ამ გვარ განკარგულებისა შესახებ უწმიდესი სინოდო ადგენს: ენობოს ეპარქიის მღვდელთ მთავრებს ცირკულარული უქაზებით... და 3) წინადადება სინოდის წევრის, მალე უფლებად უსამღვდელთაის მხლადისა, საქართველოს ექსარქოსისა, შემდეგი მ. ნარსისა: უწ. სინოდის უქაზისა გამო 21 აგვისტოდან ამა 1891 წლისა № 2139, რომელიც დაბეჭდილია «საეკლესიო უწყებთა» მე 34 №-ში შესახებ ზომათა შესამსუბუქებლად უბედურებისა, რომელიც დღეს ეწია რუსეთის ზოგიერთი გუბერნიების მცხოვრებთა ზურის მოუსაგლოებისა გამო, და განსაკუთრებით შესამსუბუქებლად მეტის-მეტი სჯირობისა, რომელსაც ითმენს ამ ადგილებში სამღვდელთა, — მისი მალე უფლებად უსამღვდელთაისა წინა დაუდებს საქართველო-იმერეთის სინოდალნი განტარისა, რათა მან დაუყოვნებლივ მოახდინოს შესაფერი განკარგულებანი, ანობოს რა საქართველოს ექსარქოსისა მღვდელ-მთავრებს და ეპარქიებს, რომ ტაძრებში, წივის დროს, განმეორებითი მშობლობაზე წარმოთქმულ იქმნეს განსაკუთრებით ეკლესია მოსამზობლად შიმშილითა (ღონისძიებო, რომელიც კითხება მხოლოდ განსაკუთრებით მარკელისების დროს); 2) დადგენილ იქმნეს ტაძრებში უფლები დთვის მსახურების დროს განსაკუთრებით შეწინააღმდეგებთა მოკრება ზურის მოუსაგლოებისა.

საკლავო-ბით დაზიანებულ შირთა სასარგებლოდ, კიდრე-
 მდის სხვა განკარგულება არ მოხდება მის მოსახლობის შესა-
 ნებ, ამასთანავე ამ საგნისათვის დანიშნულნი ყუფილები ან უ-
 თუეშები ჩამოტარებულ იქნეს ტაძრებში საეკლესიო
 ყუფილის შემდეგ და შეკრებილი ფულები, შემდეგ შემო-
 წმებისა და განსაკუთრებით რვეულებში ჩაწერასა, გაი-
 ზავენს კანტორაში; 3) დადგინდეს იქნეს საექსპანსი-
 სიის ემპროვის ქალაქებში სამღვდელთა და სერო შარ-
 თაგან ემპროვის მღვდელთ-მთავრების თავმჯდომარეობით,
 ხოლო თბილისში ქართლის ემპროვის შირველი ვიკარის
 ყოვლად სამღვდელთა გორის ეპისკოპოსის ალექსანდრეს
 თავმჯდომარეობით, განსაკუთრებით კამიტეტები შე-
 წარუყულებათ შესაკრებლად სასარგებლოდ შუქის მოუსა-
 დელობით დაზიანებულ შირთა იმ შირთობით, რომ შეე-
 რებილი ფული, შემდეგ ამ კამიტეტების ანგარიშის
 უწყებებში ჩაწერას, აგრეთვე, თავს გათავისებების შემდეგ,
 გაგზავნილ იქნეს კამიტეტისგან კანტორაში. გასაგზავ-
 ნად უწმიდეს სინოდთან არსებულ სამეურნეო მართვე-
 ლობაში; 4) აგრეთვე დაწესებულ იქნეს ამავე მიზნით
 თელავში და სიღნაღში თბილისის კამიტეტის განყოფი-
 ლებანი, ალექსანდრის ეპისკოპოსის, ყოვლად სამღვდელთა
 ბესარიონის თავმჯდომარეობით; გარდა ამისა, შეიძლე-
 ბა აგრეთვე დასრულებულ იქნეს კამიტეტების განყოფი-
 ლებანი ბაქოში, ელისავეტოპოლში, კასში, ერივანში,
 ბათუმში, პატი-გორსკში და სხვ. იქაურთა დეკანოზების
 თავმჯდომარეობით. იმ ცნობათა მოხსენების დროს
 ყოვლად სამღვდელთა ალექსანდრემ, გორის ეპისკოპოსმა,
 სინოდალნი კანტორის წევრებმა, ჩინოვნიკებმა და კანტე-
 ლარის მოსამსახურეებმა განაცხადეს სურვილი გადასდგან
 თათო სარგებელი თავიანთ ჯამაგირებიდან. გამოცლიეა:
 ლოცვა განსარინებლად შიმშილისა გადათარგმნილი
 არის ქართულს ენაზე სინოდალნი კანტორისაგან. ლოცვა
 უწმიდეს პატრიარქისა კალისტანის, რომელიც აკო-
 ხება სავედრებელი გალობის დროს უფლისა ღვთისა ანუ
 ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის სახელზე, დაბეჭდი-
 ლია ქართულს დიდს გურთხევანში. ბრძანეს: თანახმად
 შემო მოუწინდელ უწმიდესი სინოდის გადაწყვეტილებისა
 და მისი ძალად ყოვლად უსამღვდელთა კლობის პალატის,
 საქართველოს ექსპანსიისა, დასრულეს ქალაქს თბილისში
 კამიტეტი შესაკრებლად შეწირულებათა სასარგებლოდ
 მოუსაგებლობათ დაზიანებულ შირთა, ყოვლად სამღვდელთა
 ალექსანდრე, გორის ეპისკოპოსისა თავმჯდომარეობით,
 შემდეგ შირთაგან: სინოდალნი კანტორის წევრის არქი-
 მანდროტის ექსპანსი, დეკანოზების: გიორგი სელიძის-
 ესტატე ელიევის, ბესარიონ ზედგინძის და დავით
 ტრეკლამე-ლის და ბლადიმირების; სოლომონ შოშიევის
 და მარკოს ტრემალიძის და მღვდლის ევგენი ზვერკვი-
 სიან. ამგვარ-ვე კამიტეტობა დაარსდეს შემდეგ ადგი-
 ლებში: ქალაქს თელავში და სიღნაღში ალექსანდრის ეპის-
 კოპოსის ბესარიონის თავმჯდომარეობით; ქალაქს ბაქო-
 ში ბლადიმირის დეკანოზის იურიცკის თავმჯდომარეო-
 ბით; ქალაქს ერევანში ბლად, დეკ. გამბარკვის თავს.

მჯდომარეობით; ქალაქს ელისავეტოპოლში ბლ. დეკ.
 მინარკვის თავმჯდომარეობით; ქალაქს გორში დეკ.
 ბესარიონ თავდგინძის თავმჯდომარეობით; ქ. ასა-
 ტისხეში ბლად. მღვ. ხანტოკის თავმჯდომარეობით;
 ქ. დუშეთში მღვ. მახიელ ბეჭქინაძის თავმჯ. ქ. ყარსში
 ბლად. მღვ. ლოგინოვის თავმჯდომარეობით; ამასთანავე
 კამიტეტების ყველა შემოთ აღნიშნულთ თავმჯდომარეებს
 მაინდროს თავის შესრევით მოაწერონ სასულაურთა დასა-
 რო წოდებისაგან წიგნი, იმ-თვე, თავმჯდომარეთ, დაარ-
 სებულ კამიტეტს ვალად დაეგინოსთ თავიანთ მოქმე-
 დების დროს, ამ საქმის შესახებ, სასწრაფოთ ისე-
 მდგანდელნი უწმიდესი სინოდის დადგინდობაში მოხსე-
 ნებელი წესით და საქართველოს ექსპანსიის წინადა-
 ბით. მაინდროს შესტამბეს ხელაქს დაბეჭდვას ლოცვებ-
 განსარინებლად შიმშილისა და პატრიარქის კალის-
 ტისა, პარკლისის დროს საგალობელი უფლისა ღვთის
 ანუ ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის სახელზე, კერძო
 ფურცლებზე 1500 ეგზემპლარნი ქართულს ენაზე და
 400 რუსულზე და წარმადგინოს ფულის ანგარიშით
 რაც ეტება მათ დასაბეჭდოთ, ფულები მიეტეს ამ თან-
 ხისაგან, რომელიც დანიშნულია სავსებით წიგნების დასა-
 ბეჭდავით; *) სოლო ლოცვები გაგზავნოს საექსპანსი-
 სიის ყველა ბლადიმირებს დასარგებლათ ყველა გრე-
 ბულთათვის. შირი ამა დადგინდობასა გაიგზავნოს
 «სასულიერო მახარებელის» და «მწყემსის» ურჩხალების
 რედაქციებში დასაბეჭდოთ სამღვდელთა სინოდელად; გაგ-
 ზავენს ყოვლად სამღვდელთა: კაბიელს, იმერეთის
 ეპისკოპოსს, გიორგის, გურია-სამეგრელოს, ალაფო-
 დოვს, სურსუმის და იოანიაკოს, კლადიკავასის ეპისკოპოსთ
 სისულემდგანდელთა და აღსარულთადა იმ შირთობით, რომ
 შეეა ანგარიშის უწყებები კამიტეტების დახურვის შემ-
 დგ კამოგზავნილი იქნეს სინოდალნი კანტორაში გა-
 საგზავნელად, სადაც ვერ არს. მიეწეროს კანტორის სა-
 ზანადარს, რომ მან სინოდალნი კანტორაშიდ ყველა
 მოსამსახურეების მისაცემ ჯამაგირებიდამ დატოვოს
 მანეთზე თითო კაპიეტი, ჩასწეროს წიგნი და ყოველ
 თავს დამღვეს მოახსენებდეს კანტორას ამ სახით შეე-
 რებილ ფულების რაოდენობას.

ნამდვილია: მღვინის თანამდებობის აღმას. ი. კოხნველიძე.

*) «მწყემსი»-ს რედაქცია მზათ არის, რომ ამისთანა წერი-
 მალი დასაბეჭდი მუქთად დაუბეჭდოს სინოდალნი კანტორას,
 რადგან თითო და ორი კაპიელობით ფულების შეკრება ბლა-
 დიმირებისაგან და წიგნებში გაწერა სამღვდელთაობისათვის მუ-
 შრომას შეადგენს ხოლმე...

რედაქტორი.

მწყმწი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდღვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სინარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოველით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და უვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 18

1883-1891

30 სექტემბერს.

შინადასა: რფიც. ნაწალი: უჭაზი მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისა, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელისა, უწყობელისა და უმართებელისა სინოდისაგან იმპერეთის ეპისკოპოსის გაბრძოლის სასჯელად. — განხილვა საქართველო-იმერეთის სინოდისაგან კანტარისა დამკუთვლთა შეწყობას აღმოჩენისათვის. — აწა რფიც. ნაწალი: ეცით საზრდელო მშვიდობა. — სოფელი აზობ და იქაურობა ახალი ტაძარი. — აწკელოლოგიური შენიშვნა. — ძველი მეტრადი. — ბ. მთავარქალის შეიღის მიერ აღმოჩენილი ახალი აქრეკა პატრიარქისა, განათლებისა და სიბრძნისა. — ახალი ამბები და შენიშვნები. — საისტორიო მასალა. (გუჯარები).

მცირე საზრდელი მშვიდობა.

ღვთის ყოვლად ბრძნული გამგეობით კაცს უსაზრდოდ არ შეუძლია ცხოვრება ქვეყანაზე. არა თუ კაცი, თვით უმცირესი სულდგმულიც ვლის ღვისაგან საზრდოს და მოწყალე უფალი ადაღებს ხელსა თვისსა და განაძღვებს ყოველსა ცხოველსა ნებისა მებრ. მაგრამ მოხდება ისიც, რომ სხვა-და-სხვა ზომითაგან, რათა ცოდვილთ შეიგნონ და დაადგენ ჭკმზარით გზას, უფალი მოაველენს ხოლმე შიმშილს; მიწა, ჩვენი ცოდვებისა გამო, მცირედ იძლევა თავის ნაყოფს და ყოველი სულდგმული ვარდება უბედურებაში. შიმშილი

მეტად საშინელი უბედურებაა! კაცი ადვილად იტანს ყოველივე ამა ქვეყნიურს უბედურებას, უძლებს ყოველივე მწუხარებას, მაგრამ შიმშილის ატანა კი არ შეუძლია; შიმშილი ატოვებინებს კაცს თავის ოჯახს, იგი ტოვებს თავის ნათესაებს, ვარზის თავის სამშობლოდგან, და მიიზის იქ, სადაც იმედი აქვს საზრდოს შოვნისა. შიმშილს ერიდება არა მარტო მხოლოდ კაცი, არამედ ყოველი ცხოველი და ერიდება მას ისე, როგორც თავის მამაკედინებელს მტერს. რომ შიმშილისაგან თავი დაიუაროს, კაცი ისეთ საზრდოს ეტანება, რომელიც მას არ შეუფერის: სკამს იგი ხის ეტანება, ბალახს და უწმინდურს ცხველებს.

არა ერთი მაგალითი ყოფილა, რომ შიმშილის გამო კაცს თავის შეილება შეუჭამია! საშინელება კიდევ ის არის, რომ შიმშილი არას დროს მარტო არ ჩნდება, არამედ მას თან მოჰყვება ხოლმე სხვადასხვა სნეულებანი და სიკვდილი. დიახ, შიმშილი დიდი უბედურებაა კაცისა და ყოველი ცხოველისათვის. იგი საშინელი მტერია ჩვენი, უსაშინელესია წყალდიდობაზე, მიწის ძვრაზე და სხვა უბედურებაზე. მაგრამ ამ უბედურებას კაცი ადვილად მოუელის თავს, ყოველივე თავის უბედურება კაცს, ღეთისგან მისდამი მინიჭებული გონებით, თუ სულ სიძაბუნეს არ მისცა მან თავი, შეუძლია ცოტათი მაინც შეამსუბუქოს; შიმშილის შემსუბუქება ყველაზე უფრო ადვილად შეიძლება, თუ კაცს ექნება ცოტაოდენი ქვემარტი სიყვარული და ყოველთვის ქვემარტად ადგია ქრისტეს მცნებას.

შველამ უწყის, რომ შიმშილი ეწევა ხოლმე ყველა ხალხს კი არა, და არც ერთნაირად: ზოგიერთებისათვის იგი ფრიად საშინელია, ხოლო ზოგიერთათვის უფრო ადვილი. განსაკუთრებით შიმშილი მომაკვდინებელია ღარიბთა და შეუძლებელთათვის; შეძლებულ პირთათვის შიმშილი ისე საშიშო არ არის, ხოლო მდიდართათვის იგი თითქმის სრულეზით საგრძობელი არ არის. ყოველად მოწყალე და სულგრძელი უფალი არ მოავლენს ხოლმე შიმშილს მთელს ქვეყანაზე, რომ ამით არ ამოწყვიტოს ყოველი სულდამული, არამედ შიმშილს მოავლენს ხოლმე ზოგიერთ მხარეში, ხოლო სხვა მხარეში არა. ახლა რომ გვება, ადვილად შეიძლება პურის გაგზავნა იქ, სადაც სრულიად მოუსაველელობა იყო, ან ცოტა ნაკლები. შედარებული და მდიდარი ხალხი ამ სახით კიდევ მოიპოვებს პურს და ამიტომ შიმშილი მათთვის დიდი უბედურება არ არის. ღარიბთათვის კი შიმშილი არის დიდი და საშინელი უბედურება. თუ კაცს სიყვარული ექნება, თუ მოყვასის შებრალება უღვივის მას გულში, ადგია ქრისტეს მცნებას, მაშინ მისთვის საშინელი არ იქნება შიმშილი, თუ შეძლებულნი და მდიდრები შეეწყვიან ღარიბთ, დაუბრუნებენ მათ, მაშინ ეს უბედურება არ იქნებოდა ისეთი საშინელი; ღეთისგან განგებ მოვლენილი უბედურება გამოიწვევდა წიბა სიყვარულს, და მასთან ერთად ღეთის მოწყალეობაც. მაგრამ უბედურება ის არის, რომ კაცში ან სულ მცირეა ესეთი სიყვარული და მოყვასის შებრალება, ან სრულეზით არ მოიპოვებინ ეს გრძობანი მის გულში; კაცში ბოროტი და ცუდი მისწრაფება

ყოველთვის ჩაგრავს ყოველივე კეთილს და წმიდას და ამისგან არის, რომ მას თავს ადგება უბედურება. შებრალება თან შობილი აქვს კაცს. ეს გრძობა მინიჭებული აქვს მას ღეთისგან, და კაცში იბადება სიბრალოლო, როცა ხედავს კაცთა უბედურებას, ან ესმის იგი. სიტყვით, ის მზად არის შეეწიოს: მას არ შეუძლია გულგრილად უცქიროს არა თუ კაცის გაჭირვებას, არამედ უბრალო ცხოველებისასაც. მაგრამ როცა საქმე მიდგება არა მარტო სიტყვით შემწეობაზე, არამედ საქმეზე, როცა საქმე იქამდის მივა, რომ კაცმა თავის საშუალება უნდა გაუზიაროს მშვიტთ, მაშინ იგი, თავის სასიერცხოთ, თვალს ხუჭავს, რომ არ შენიშნოს კაცთა გაჭირვება, გული უცივდება, ბრახდება და თავის ბუნების და ღეთის წინააღმდეგ უარს ეუბნება მთხოვენს, და ამის გამო უბედურება ძლიერდება და უკიდურეს მდგომარეობამდის მიდის. სწორეთ აქედან წარმოსდგება ყოველი ჩვენი უბედურება. რომ ჩვენს კულში ღვიოდეს წმიდა სიყვარული, რომ ჩვენ საქმით ვიყენეთ მოწყალე, როგორც ნამცნები გვაქვს ღეთისგან, რომ ჩვენ ვიყენეთ სენი ღეთისანი, რომელიც უბრძანებს მხეს ანათოს ბოროტნი და კეთილნი და უგზავნის წვიმას მართალთა და ცრუთა, მაშინ არ იქნებოდა ქვეყანაზე ამდენი მწუხარება და ტირილი, ამდენი უბედურება და წვალება, ამდენი შიმშილი და ჭირი.

ღღეს სწორედ დიდი უბედურება ადგია რუსეთის ზოგიერთი გუბერნიების მკვიდრთ, როგორც მკითხველი დაინახავს სანადალნი კანტონის უქაზისაგან, რომელიც ამავე ნომრის ოფიციალურს ნაწილში იბეჭდება. იმის გამო რომ რუსეთის ზოგიერთ გუბერნიებში მცირე მოსავალი იყო და ზოგან სულ არაფერი მოსულა, გამრავლდნ ამ ადგილებში მათხოვარნი, რომელნიც ითხოვენ საზრდოს. დამშეული გუბერნიების ქალაქები და სოფლები აივსო მათხოვრებით, რომელნიც შესთხოვენ ყველას პურს და ევედრებიან შეწყალებას და შიმშილისაგან დაფარვას. ალავ დამშეულმა ხალხმა ისეთსაქმელებს დაუწყო ჭამა, რომ ეს საზრდო გამოიწვევს სნეულებათ და სიკვდილს. სტირიან დიდნი და პატარანი, რომელთაც აწუხებს შიმშილი. დაღვა ღრო, როცა საქარო ხდება გამოვიჩინოთ შებრალება და სიყვარული ღარიბთა და დამშეული თანამოძმეებისადმი; დაღვა ღრო, როცა ხაჭიროა დავამტკიცოთ საქმით, რომ ჩვენ ქრისტანენი ვართ, რომ ჩვენში არის

ნადეოლი ქვემარტი სიყვარული, განათლებული სა-
ხარების სწავლით. ღარიბთა და დამკვლელთა სახით
მოგვევლინა ჩვენ თვით ქრისტე და გეტხოვს ჩვენ
საზრდოს: ის ითხოვს ჩვენს მოწყალებას, რომ აპით
ის უფრო მოწყალე გვექმნას ჩვენ; ის გეტხოვს ჩვენ
ნაცვლად ძალიან მცარეს, მხოლოდ არსებითი პურს,
რომ ჩვენ მოგვანაჰოს უფრო ბევრი, ვინც ის, რასაც
ჩვენ მივაწოდებთ მასს საწყალი დამშვული ხალხის
ხელით; ქრისტეს სურს, რომ ჩვენ დამშვული ხელით
ჩვენი საცხოვრებელი დამაწილი გადავსცეთ ქრისტეს
ზეციურს საუნჯეში, რომ შემდეგისათვის ასჯერ მეტი
მივიღოთ მომავალს ცხოვრებაში; ქრისტეს სურს, რომ
ჩვენ არ გამოვცხადდეთ მისი ზეციური მამის წინაშე
ხელცარიელნი, არამედ მოწყალების და სიყვარულის
საქმებით; მას სურს გააცხოველოს ჩვენი მკვდარი
და ცივი გული გაქირვებულთა შებრალებით, რომ
ამისათვის უფრო შეგვივიაროს ჩვენ და დავვასაჩუქ-
როს. კეთილ საქმეთა შორის, რომლისათვისაც ჩვენ
აღთქმული გვაქვს ჯილდო ცათა შინა, პირველს
ადგილზე თვით უფალმა დაადგინა—მშვიდობის გაძლ-
მა... მოკვდით, ამბობს იგი, კვდითსეუფლად მამისა
ჩემისანა და დაიპყიდეთ განმსაღებულა თქვენთვის
სასუფიერებელი, დახადებდგან სოფლისათა. რამეთუ მშ-
იდა, და მეცით მე, ჭაბადი: მწუფრდა, და მასვით მე;
უცხო ვიყავ; და შემიწყნარეთ მე... რაკდანი უყავით
ერთსა მას მცირეთაგანსა მათა ჩემასა, ე. ი. დამ-
შვულს, იგი მე მიუხავით (მათ. 25, 34, 35, და 40).
განა უარი უნდა უყოთ ჩვენ უფალს; განა უნდა გა-
ვარისხოთ იგი ჩვენი გულგრილობით და ჩვენი გულფიც-
ხელობით? ჩვენს წინაშე მოისმის მშვიდობა ხმა, ჩვენს
თვალთ წინაშე დგანან დამშვულთა გაყვითლებული
სახენი; უბედურება ძლიერდება, მწუხარება დღითი დღე
მატულობს... ვინ არის იმდენად გულქვევი, რომ არ
შეეწიოს გაქირვებულს, რომ არ გააქლოს დამშვული,
რომ არ შეუშროს თვალზე ცრემლი მტირალთ?
რომელი ქრისტიანი არ შესვენს დამშვულთა ვაებას?
უფალი ითხოვს—მომეცი; უფალი ბრძანებს, მომე-
ცი—ისმინეთ და აღასრულეთ ნაბრძანები. კეთილი
პირნი უკვე ჰკრებენ პურს დამშვულთათვის, უკვე
აძლევენ; მიეცი თუ ველამ შეძლებისა და გვარად,
რომ შემციოდეს უბედურება, რომ დავიფაროთ გა-
ქირვებულნი ჩვენი მოძმენი. სთესეთ თქვენის შემწე-
ობით, როგორც წმიდა თესლით, სთესეთ უხვად,
რომ უხვად მოიწიოთ.

სოფელი არბო და იმპერი ახალი ტაძარი.

ამ ენკენისთვის 1-ს გორის ეპისკოპოსმა ყოველად
სამღებლო აღექსანდრემ აკურთხა ახალი ეკლესია
სოფელს არბოში. მს სოფელი მდებარეობს გორის
მაზრის შუაგულ ნაწილში; გაშენებულია კარგა
მალლობ ადგილზე, საიდანაც დასცქერის პატარა
ლიახვის მშენებელი ხეობასა. როგორათაც სხვა მრ-
ვალი სოფლები ჩვენი კურთხეული საქართველოსი,
ისე ეს სოფელიც შემკობილია წმინდა, გრილი ჰაერით,
ლურჯათ მოკაქვამე მდინარით და ღონიერ ნიადაგიან
სარწყავი მიწებით. თუმცა ღვინოთი არბოელი კაცი
ვერ დაიკვებებს, მაგრამ ვენახის მუშაობას მაინც
მუყაითად მისდევნა აქაურები: არ არის აქ ისეთი
კომლი, რომელსაც კი არა ჰქონდეს ვენახი. ეს ვე-
ნახები ყოველ წლივ აძლევენ თავიანთ სტუმართ-
მოყვარე პატრონებს ცოტაოდენ მჭავე და წყალ-
წყალა ღვინოსა, რომლითაც იგინი სრულებით
კმაყოფილნი რჩებიან...

აქაურნი მცხოვრებნი მუდამ სახელმწიფო ხალხი
ყოფილა; მართალია, სცხოვრობენ აქსამიოდ კომლი
აზნაური შვილებიც, მაგრამ მათ, არბოელების საბედ-
ნიეროთ, ყმები არას დროს არა ჰყოლიათ... ამიტომ
აქაურების ბეჭებს პოლიციის ბოქოულების და მათი
ჩაფრების მათრახები უფრო ხშირად მონვედრიათ,
ვიდრე რომლისამე კულა აზნაურასი, ან თავგასულ,
მუდამ ხანჯალსა და მუშტზე მაცქერალ, თავადისა.

არბო პატარა სოფელია: იგი შესდგება სულ
ოც-და-ათი კომლისაგან. ეს პატარა სოფელი ამ
უკანასკნელ დრომდინ, თუმცა ღარიბულათ, მაგ-
რამ თავისათვის, მოსვენებით, სცხოვრობდა... ამ
ხუთი-ექვსი წლის წინათ მას უცებ გაუჩნდა სადავი-
დარაბო საქმე სამიოდ კომლ ერდევნ ფავლენი შვი-
ლებთან. ეს უკანასკნელნი დაეპატრონენ მის ერთად-
ერთს საძოვარს და საქონლის მოსატრიალებელს
ადგილს, რომელსაც სახელად «არბოს ჭალა» ჰქვინან.
ამ დავიდარაბის გამო პატარა სოფელს დაატყდა ვალი
და დედა ბუდიანათ ჩავარდა უღმერთო და კაცი ჭამია
ცხინვალელ ურიების ხელში. ამ ებრაელების გაუ-
მაძღრობას, შეუბრალდებლობას აღარ აქვს დასასრუ-
ლი და სამძღვარი. მაგრამ როგორ და რა ნაირად
უნდა გაამტყუნოს კაცმა ეს უცხო ტომის ხალხი,
გადმოვარდნილი ჩვენში ცხრამთას იქილამ და აღზრდი-

ლი ათასგვარ ტანჯვა-ვაებაში, ღვენასა და რბევა-აკლებებში, როდესაც ერთ ხორც და ერთ სული ქართველები არ იბრალდებენ თავიანთ დაჩაგრულ მოძმეთა და უკანასკნელათ სულს უხუთვენ მათ ცხოვრება-არსებობისას?!

სოფელი არბო გათქმულია მთელ ქართლში თავისი «იერისთობით», «არბობით». ეს დღეობა ყოველ წლივ აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში მოდის ხოლმე. თავგერისთობას აგრე რიგათ არავენ არა სწყალობს, მაგრამ მეორე და მესამე სწორზედ კი დიდძალი მლოცავი მოაწყდება ხოლმე აქაურს წმიდის გიორგის ეკლესიას, სადაც აქამომდე ინახებიან ნაწილები მოხსენებულის მთავარ-მოწამისა. მომეტებულად სახელგანთქმულია მეორე სწორი, ანუ, როგორც ადგილობრივ ეძახიან, «დიდ გერისთობა». წელს ეს დიდგერისთობა მოვიდა 25-ს აგვისტოს... სამი-ოთხი დღის წინათ დაიძვრის მლოცავი და მთელი საქართველოს სხვა-და სხვა კუთხეებიდამ იკრიფება აქ აუარებელი, სხვა-და სხვა რჯულისა და შთამამელობის, ხალხი. აქა ნახავთ კახელებს, მთიულ ქართველებს, ქალაქელებს, იმერლებს. ბლომათ შეგხვდებიან აქ ვაჭარი სომხები და ურიები, მაგრამ ყველა ამათ ოსების რიცხვი გადააჭარბებს ხოლმე. ახლო მდებარე კავკასიის მთებიდამ დაიძვრიან და ჯგუფ-ჯგუფად მრავალი ოსები ჩამოდიან აქ; თან მოაქვთ გასაყიდათ ყველი და ერბო, ხის ავეჯეულობა და თიეთიკ-შალები. მთელი სოფლის მიდამო: ახლო მდებარე სახნავ-სათესი მიწები მოღებულია ხოლმე ჩარდახიანი ურმებით და ცხენოსანი ხალხითა... აღებ-მიცემობა ორი სამი დღის განმელობაში გაცხარებულად სწარმოებს. სამწუხაროდ, ამ სასარგებლო და მოსაწონ მხარეს ხშირად ბევრი ცუდი მაზარალებელი ამბებიც მოჰყვება ხოლმე. თითქმის არ შეიძლება, რომ გერისთობა გათავდეს ისე, რომ ორგან-სამგან მაინც არ მოხდეს საშინელი ჩხუბი: კეტების ტრიალი და თოფ-იარაღის ხმარება. ღმერთს მადლობასა სწირავენ, როდესაც ეს ვაი ვაგლახი მარტო ძვალისა და რბილის დაქეჩით, თავისა და პირის დანტყრევით თავდება. სამწუხაროდ, ხშირად ამათ უფრო დიდი უბედურებაც მოჰყვება ხოლმე, მაგალითად შარშან წინ რევოლუციით მოჰკლეს ორი კაცი და სამიოღ-ოთხი ცხლმებით დასჭრეს მძიმეთა; წელსაც ხანჯლით გამოუფაშვამთ რომელიღაც ახლო სოფლის მამასახლისი... ქურდობა, მტა-

ცებლობა ხომ ისეა გახშირებული, რომ ბევრჯელ მათ ყურადღებასაც არ აქცევენ. რალა თქმა უნდა, რომ ამ ამბების არა ერთი ცხარე მათრახი თვით მასპინძელ სოფელ არბოსაც მოხვდება ხოლმე. შეი. არალებული ქურდები, ხშირად შუა დღისას, გაღადიან აქაურ ვენახებში, ჰკრევენ ყურძენსა და ხილს, სჭრიან სიმინდებს, ანტყრევენ და სწვენ ლობეებს. მაგრამ ყველა ეს არაფერს არ ნიშნავს იმ დიდ ვნებასთან, რომელიც სოფელს მოხდის შემდეგ დღეობის გათავებისა. კვირას, შუა დღის უკან, ერი იშლება და მეორე დღეს უცხო კაცს აქ თითქმის ვეღარავის ვეღარ ნახავთ. ხალხს, მართალია, ვეღარ ხედავ, მაგრამ მისგან დატოვებულ ათასგვარ უწმინდურობით კი სავსე რჩება სოფელი და მთელი მისი არე-მარე. ამის გამო მშვენიერი წმინდა ჰაერი იშხამება; ანკარა მდინარე საკლავების ფაშეთა და წელებით ივსება; თვალისა და გულისათვის სასიამოვნო ადგილებზე აღარ გავსვლება ადამიანს სასვირნოთა. ეს გარემოება, რალა თქმა უნდა, კარგ განვლენას ვერ მოახდენს მცხოვრებთა ჯანმრთელობაზე. მართლა-და, სწორეთ ამ დროდამ ჩნდებიან სოფელში სხვა-და სხვა მოარულეები, სნეულბანი, რომელნიც არა მცირე ზარალს აძლევენ ხოლმე მის მცხოვრებლებს, უამისოდაც ათასგვარად გაჭირებულთ და შევიწროებულთ!... აი, ჩემო ბატონო, ასეთია სახელგანთქმული «გერისთობა»!... ასეთია თვით სოფელი არბოც, სადაც, როგორც თავშიც მოგახსენეთ, ამ თთვის 1-ს აკურთხეს «ახალი საყდარი». ვგონებ მას აქეთ, რაც საქართველოში რუს-ხელმწიფება დამყარდა, ე. ი. თითქმის მთელს მეცხრამეტე საუკუნეში, არბოს ტაძარზე დიდი არ აშენებულა ჩვენი ქვეყნის არც ერთ კუთხეში. სიგრძე ამ შენობისა 30 არშინია, სიგანე—20 არშ. ხოლო სიმაღლე—მიწის პირიდან გუმბათის საფუძვლამდე—35 არშინი. ფორმა აქვს ჯერისა და აშენებულია ძველ ქართულ ეკლესიების გეგმაზედ. მაგრამ, ამასთანავე, თვისი ექვსი ვებერთელა ფანჯრებით და დიდრონ-დიდრონი კარებებით აწინდელ რუსულ ეკლესიებსაც წააგავს. ამგვარად ეს ტაძარი არის პატარა სახე მთელი ჩვენი ეხლანდელი ცხოვრებისა, რომელიც შემდგარია—ერთის მხრივ—ჩვენი, ძველთაგან გადმოცემულ, ზნე-ჩვეულებათაგან, ხოლო—მეორეს მხრივ—ახალი, რუსებისაგან მიღებულ, ვითარებათაგან.

შენება ამ ტაძრისა იწყეს 1847 წელს ორმა

ძმამ: დეკანოზ იაკ. ლომოურმა და მღვ. იოს. ლომოურმა, რომელთაც ზედ შეალიეს მას თითქმის მთელი თავიანთი ქონება, მოსვენება და კეთილი ცხოვრება. ამის განო იმათ, ერთ დროს დოვლათით საესე ოჯახს სიღარიბე შეეპარა, რომელმაც დაჰბადა ორ ძმას შუა უთანხმოება და საძაგელი, შეუსაბამო საჩივრები. ამითი ისარგებლა განსვენებულმა ნაექსარხოზარმა ღესევიმ და ორთა ძმები დაითხოვა სამარელოდამ; ამასთანავე ეკკლესიის შენობაზედაც, რასაკვირველია, ადებინა ხელი. მათ ადგილას განწესდა სხვა მღვდელი, რომელსაც არაფერი არა გაუკეთებია-რა სასარგებლოდ ხსენებულის შენობისა. უბედურობამ ჩააქრო ძმათა შორის აღზნებული ცეცხლი მტრობისა, შეარიგა და ერთმანეთს ხელი-ხელს მიაცემინა. ორივემ ერთად უჩივლეს ექსარხოზს უწმიდეს სინოდში, გაამართლეს და ეკკლესია თვისი მრევლით ხელ-ახლად ჩაბარეს, მაგრამ დიდხანს არ დარჩენილან მოსვენებაში. განრისხებული მოწინააღმდეგე აღიძრა დევნულებითა: ხშირად იქამდისინ მიდიოდა საქმე, რომ მცირე წლოვან ბავშვებს, ლომოურ მღვდლის შეილებს, თავს უყადრებდა და უსაფუძვლოდ, უსამართლოდ ავიწროებდა სასწავლებელნი. იგი ეძიებდა მარჯვე დროსა, რომ ამით მამა-ბიძა ხელ-ახლად დაესაჯა... ამგვარი შემთხვევაც მალე მოადგა მას კარზედა. ერთმა კლიაუზნიკმა განიზრახა ერთსა და იმავე დროს ორი კურდღელის დაჭერა: ექსარხოზის სიამოვნება და შემოსავლიანი ადგილის ხელში ჩაგდება. განიზრახა და დაგზავნა ექსარხოზთან ქაღალდი, რომელშიაც სწერდა: ლომოურები მეტის-მეტად დაბერდნენ, წირვა-ლოცვა აღარ შეუძლიანთ და გთხოვთ, რომ იგინი დაითხოვო და მათი ადგილი მე მიბოძოთ... ეს თხოვნა საჩქაროზე შეწყნარებულ იქმნა. და გამოუძიებელიც დაითხოვეს მოხსენებული ძმები. ამ უკანასკნელთ მიმართეს ისევ სინოდსა, რომელმაც კვალად უმართლოდ დაინახა ექსარხოზის მოქმედება და წართმეული ადგილი ხელ-ახლად დაუბრუნა მოჩივართ. ამ დევნასა და ვაი-ვაგლანში, რაღა თქმა უნდა, ახალი საყდრის შენობას ბევრი ევრა მიემატებოდა-რა. ამის შემდეგ დიდი ხანიც ვეღარ იცოცხლეს ლომოურებმა... ორივე სამი წლის შემდეგ დაიბოცნენ უკიდურეს სიღარიბეში. მათ ადგილას, უწ. სინოდის განკარგულებით, განწესებულ იქმნა ბიძაშვილი მათი მღვ. ბარს. ლომოური, რომელმაც მუყაითათ მიჰყო ხელი მონახე-

რებულ ეკკლესიის შენობას და რადენისამე წლის შემდეგ დაასრულა კიდევ როგორათაც აგება კედლებისა, ისე თაღების გადაყვანა... მაგრამ ამ დროს ესეც თავისმა სახლისკაცებმა მიიწვიეს საიქიოს... მის ნაცვლად არბოში მღვდლათ გამწესდა მამა ბიორგი ბეიშაძე. ბ. ბეიშაძე ახალგაზდა მღვდელია; მართალია, სწავლა დამთავრებული არა აქვს არსადა, მაგრამ თავის ბუნებითი ნიჭიერებით თუ არ მალლა, არავისზე დაბლა არ სდგას. იგი გათქმულია მთელი ქართლის სასულიეროს წოდებაში თავისი საუცხოვო წირვა-ლოცვის აღსრულებით... მშვენიერის კილოიანის კითხვა-გალობით. ამასთანავე სანაქებო მგალობელიც არის. აი ეს მღვდელი, განწესდა თუ არა არბოში მოძღვრად, მაშინვე მხნეთ შეუდგა მოხსენებული ტაძრის დასრულებასა. ყოვლად სამღვდლო გორის ეპისკოპოსის ალექსანდრეს შემწეობით და ნიკოლოზ არქიმანდრიტის დახმარებით მან დაასრულა ეკკლესიის დახურვა, გაღესა, კანკელის დახატვა და გაკეთება... თუმცა ამ ეკკლესიას ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია, მაგრამ იმედია, რომ ადგილობრივი მღვდლის მხნეობა და ეს არის ეხლა მოხსენებულ პატივცემულ პირთა შემწეობა მალე შეავსებენ ამ ნაკლსა და შემდეგ თაობათ გადასცემენ ღირსეულ ძეგლს აწინდელი ქართველების მდგომარეობისას.

აბოკლი.

ძმირფასი მტრატხედ ხელთ-ნაწერი მებმის ოთხ-თავი 1049-სა წლისა.

(**ანსკოლოგიური შენაშენა**).

ბორის მარის, სოფელ მეტეხში *), რომელშიაც არის მახტანგ ბორგასტანისაგან აშენებული დიდებული ტაძარი მეტეხის მშობლისა, აღმოჩნდა ხელთ-ნაწერი, ფრიად შესანიშნავი არხეოლოგიურის, ისტორიულის და პალეოგრაფიულის მხრით. ეს ხელთ-ნაწერი არის ოთხ-თავი წმინდა სახარებისა. ოთხ-თავი გადაწერილია ნუსხა ხუცურის ხელით, ტყავის ქაღალდზედ, რომელიც ქამთა ვითარებას

*) სოფელი მეტეხი არის გრაჯალის რეინის გზის სტანციიდან შვიდი კერსტის მანძილზედ.

გადარჩენია, და კარგათ შენახულა. ხელ-ნაწერი არის ზომით 320 თაბახისა, და შიგ ჩართული აქვს ალაგ-ალაგ ვარაყით შემკული ასოები სხვა-და-სხვა ყვავილებით და არშივებით. ოთხ-თავს ბოლოში აქვს სრული მარჯვენებელი სახარების საკითხავეების მთელი წლის განმავლობაში. შდა აქვს სქელი ტყავისა და მკვიდრათ გაკეთებული. თვით მანუსკრიპტი შეიცავს 484 გვერდს; ყოველი გვერდი ორ სვეტათ არის გაყოფილი და თვითველ გვერდზედ 21 სტრიქონია.

მეტეხის ოთხ-თავს ბოლოში აქვს სამი წარწერა, ერთ მათგანში ქართულის წელთა აღრიცხვით გადამწერი უჩვენებს დროს, როდესაც აღიწერა წიგნი. «აღიწერა წიგნი ესე ქ-სა (ქორონიკონსა) სმთ, თვისსა იენისსა 17-სა დღესა შაბათსა». ეს ქორონიკონი (269 გვერდი) გვიჩვენებს, რომ ოთხ-თავი არის გადაწერილი 1049-სა წელსა.

მეორე ხელსუბრივე წარწერა უფრო დაწერილებით მოგვითხრობს ოთხ-თავის ისტორიას. «დიდება ლმერთსა სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა, გავაკეთე წმინდა და საღმთო გზათლებული ოთხ-თავი ესე შემწვერემან მღვდელმან დიმიტრიმ. უჟალო იესო ძრისტე და წმინდაო მეტეხთა მღვთისმშობელო დაიცევ და დაიფარე გულსმოდგინე მავედრებელი შენი და ძისა შენისა ბარათაშვილის შერმაზანის ასული ბატონი ანა და მეოხ ექმენ დღესა მას განკითხვისასა და განუზომელსა სულთა მისთა, დაიცვენ ორსავე შინა ცხოვრებასა, წმინდაო მღვთისმშობელო, ძენი და ასულნი მისნი ძიხიხრო და ღარეჯან და ნუ განაშორებ საფარველსა შენსა მათგან ამინ». ამ მინაწერს ქორონიკონი არა აქვს აღნიშნული უთუოთ იმიტომ, რომ ზემოთ მოყვანილ მინაწერში, რომელიც ტექსტის ბოლოშია ჩართული, არის დაწერილებით ნაჩვენები წელიწადი, თვე და დღე ხელნაწერის დასრულებისა-

მესამე მინაწერი არის რვეალი მხედრულის ხელით, და ეკუთვნის ქართლის ქათალიკოზს-პატრიარხს ნიკოლოზს. ჩვენ ქრისტეს მღვთისა მიერ კურთხეულმან ძემან მეთისამან ლევანისმან ქართლისა კათალიკოზმან პატრიარხმან ნიკოლოზს შემოგწირე ოთხ-თავი ესე შენ, დიდებულსა და საშინელსა მეტეხთა ლმერთის მშობელსა სულისა ჩვენისა სახსრად და ცოდვათა ჩვენთა შესანდობელად, და ვინცა ეს ჩვენგან შემოწირული ოთხ-თავი გამოგწიროს, ჩვენსამცა ცოდვასა და კანონსა ქვეშე არის, და დღესა მას

დიდსა განკითხვისასა და წყეული და შერვენებული იყოს ჩვენს ჯარისა და ოპოფორისაგან სჯულის ქრისტიანობისაგანმც შეიცვლების ამან».

მეტეხის ოთხ-თავს აქვს მშვენიერი ვერცხლის ბუდე, რომელიც არის დიდის ხელოვნებით და ცოდნით გაკეთებული. ბუდე არის მთლათ სვედიანი, და ზედ არიან ამოჭრილნი: მაცხოვარი, მღვთისა მშობელი, ოთხნი მახარობელნი, პეტრე და პავლე; მაგრამ ეს ოთხ-თავის ბუდე ისე თავის ხელოვნების მხრით არ არის შესანიშნავი, როგორც ასომთავრულის წარწერით. აი თვით წარწერაც სიტყვა სიტყვით: «ღმერთო დაიცე ორსავე ცხოვრებასა ბატონიშვილი აბოთან მეტეხთა მღვთის მშობელო, მეოხ ექმენ დღესა მას დიდსა განკითხვისასა აბოთანს ამინ. ქ-სა ტმ». როგორც სჩანს ამ ქორონიკონიდგან, ვერცხლის ბუდე სახარებისათინ არის გაკეთებული 1140 წელსა, ე. ი. 91 წლის შემდეგ ოთხ-თავის დასრულებისა.

ღრო არა მქონდა, ეს შესანიშნავი მანუსკრიპტი შემემოწმებინა, მაგრამ დამწერის სიჩუმე თავის თანამედროვე ბიორგი მთაწმინდელის თარგმანზედ, ცხადათ ამტიკებს, რომ იმას უნდა გადაეწეროს მეტეხის ოთხ-თავი სხვა ძველი თარგმანიდგან. თუ კი გადაწერმა დაწერილებით უჩვენა ოთხ-თავის ბოლოში დასრულების წელი, თვე, რიცხვი და დღე, ნუ თუ დაიზარებდა ბიორგი მთაწმინდელის თარგმანის ჩვენებას. მასაც ბიორგი მთაწმინდელს შეაწოვრებულ ტექსტადგან გადაუწერნია, ყველა ასახელებს დედანს; მეტეხის ოთხ-თავიც ბიორგი მთაწმინდელის შესწორებულ დედნიდგან რომ ყოფილაყო გადაწერილი, ამ გარემოებას უთუოდ მოიხსენებდა დამწერი, მით უმეტეს, რომ თანამედროვეთა თვალში ამით უფრო დიდი მნიშვნელობა და ნდობა მიეცე-მოდა ხელ-ნაწერს.

მეტეხის ეტრატზედ ნაწერი ოთხ-თავი არის 842 წლისა, ხოლო მისი ბუდე 751 წლისა. აი როგორი ფასდაუდებელი განძები მოიპოვებიან ბეერს ჩვენს მივარდნილს ეკლესიებში. სასურველია, რომ ამ სახარებას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, — ისეთავე ბედი არ ხვდეს მას, როგორიც ეწია ამ ექვსი-მედი წლის წინათ მეტეხის ტაძარშივე ძვირფასის ქვებით შემკულს მღვთისმშობლის ხატებს, რომლებიც დაიკარგნენ და მათი მოპარავი ჯერაც არ აღმოუჩენიათ.

გ. საბაკლოვი—ივერიელი.

ქმელი მებოლი.

გამზრდელი თავზე ადგია
მოსწავლეს, თვალ ცრემლიანსა,
— ბიჭო! იკითხე, ნუ სტირი,
მამას ნუ აძლევ ზიანსა.

ოთხ ბათბანს დაუქუელს გივზავნის
ყოველ თვიურად იგია...
მას ვალი ადევს ადგზარდოს,
შენც მოინდომე რიგია.

ამოიწმიდე ცრემლები
და დაუკვირდი კარგათა;
ისწავლი, — გაცად ვახდები,
თუ არა ქვეყნის ბარგათა.

აი შეხედე ამ ასოს,
მაღლა რომა აქვს პირია,
ეგ «ანი» არის, იცოდე,
გაჩუმდი, ნუღარ სტირია!

ეს «ბანი» არის, ეს «ვანი»,
ეს თავ შეკრული, «დონია»,
ერთს მცორიდგან ვერ არჩევ,
ნუ თუ სულ ერთი გგონია?

აბა დაიწყე თავიდან,
გაიზევირე მიყოლით!
ბავშვიც ხმა მაღლა გაჰკვიც,
თავის შეძლებით და დონით:

ან, ბან, გან, დონ,
ენ, ვინ, ზენ, ჯენ,
გამზრდელს გული მოუვიდა,
ააყენა უცფათ ფეხზე.

უთხრა: თუმცა ზეპირ ამბობ,
რად გასცილდი მაინც «დონსო»,
მაგას ეხლავ შეგანანებ
და მოგიკვან მე შენ გონსო.

უცბათ მოღუტი გადუცხუნა,
აუწითლა ზურგის კანი,
ხარის ბეჭი წინ დაუდვა,
აწერინა «თნი», «კანი».

რაჟდენ სადაობელი.

ბატ. მთვარელიშვილის მიერ აღმოჩენილია ახალა
ამერიკა პატიოსნებისა, განათლებისა და საბჭონისა.

დღემდის კიდევ არ ვიცოდით, რომ მთელს
საქართველოში მხოლოდ თბილისი იყო ერთ-
თად-ერთი ბუდე პატიოსანი, განათლებული და
სანდო კაცებისა. იქნება იმიტომაც ბ. მთვარე-
ლიშვილმა დაიწუნა თელავი და გამოეშურა
თბილისში, რომ ჩარიცხულიყო პატიოსან, გა-
ნათლებულ და ბრძენ კაცთა შორის!.. დმერთმა
ჩვენს მტერსაც ნუ ათქმევინოს ამისთანა სიბ-
რიყვე! ნუ თუ მოიპოვება მთელს საქართველო-
ში, მთვარელიშვილის გარდა, ისეთი გვამი,
რომელმაც სსსცილოდ და სამარცხვინოდ არ
ჩასთვალოს ეს ნეპრული აზრი? განა პატიოს-
ნება, ნდობა და სიბრძნე ქალაქის სიდიდით
გაიზომება და ქალაქში ცნოვრებით შეიძინება?
სჩანს, რომ ბ. მთვარელიშვილი მტკიცეთ ად-
გია იმ ებრაელთა აზრს, რომლებიც დალაღებ-
დენ: ნაზარეთით შესაძლებელ-აწსა კეთილასა წაა-
სამე ყოფად?

ჩვენი მოკლე პასუხიდან არ გვჯერა,
ვინმემ გამოიყვანოს ის დასკვნა, რომ ჩვენ უარს
ვაცხადებდეთ ბ. მთვარელიშვილის გამოწვევაზე.
ჩვენ ვუპასუხეთ ბ. მთვარელიშვილს: ბატონი
ბრძანდებით! სრული თანახმა ვართ! — ავციხე-
ნით, დვთის გულისათვის, რას ნიშნავს ქარ-
თულს ენაზედ ეს სიტყვები, თუ სრულს თან-
ხმობას არა?! რაიცა შეეხება იმას, თუ სად უნ-
და შეიკრიბნენ ჩვენგან ადრჩეულნი პირნი, —
ის თვითონ ამ პირთ იციან, — სადაც ნებავსთ, იქ
შეიკრიბნენ, — თუნდაც იმ სასტუმროში, რომ-
ლის ქირაობას ბატ. მთვარელიშვილი კის-
რულობს. მაგრამ ბ. მთვარელიშვილი, ვკო-
ნებთ, თვითონვე ნანობს, რომ ეს ნაბიჯი ვერ
მოუვიდა მარჯვედ გადმოდგმული, — და დარჩა
გახირული შუა გზაზედ: ველარც წინ მიდის და
ველარც უგან. — რაც ასეც დაემართება ყველას,
ვინც ბნელი კუთხიდგან პირ-ათარებული უმართ-
ლოდ და პირადის ანგარიშით, ისვრის ტაღანს
მოკვასის გასასვრელად. ამისათვის ვაფრთხი-
ლებდით ჩვენ ბ. მთვარელიშვილს, რომ სტა-

ტიების წერის დროს თავის ვინაობა გამოეჩინა, რომ ასე არ გაკადნიერებულყო მოუვასზე გამოლაშქრებით.

ბატ. მთვარელიშვილი უარს გვიცხადებს, ჩვენს დადგენილს კითხვებზე გადაჭრილი პასუხი გვაგონს! ეს ამტკიცებს, რომ მას მთელი მისი ბაასი ჩვენთან აგებული ჰქონდა სრულს სიცრუეზედ—და დღეს—მისი სიტყვა, ჩვენდამი მომართული, მართლა კუდ მოგლეკალი რჩება*).

აკ. დ. ღამბაშიძე.

ახალი ამბები და შენიშვნები.

იმერეთის ეპისკოპოსმა ბაბრიელმა, თანახმად უწმიდესის სინოდის უქაზასა, განკარგულება მოახდინა, რომ მისი ეპარქიის სხვა-და-სხვა ადგილებში დანიშნულ იქნეს კომიტეტები რუსეთის ზოგიერთი გუბერნიების დამხუელ მკვიდრთა სასარგებლოდ შეწირულებათა შესაკრებლად.

* *

პირველს სექტემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა ბაბრიელმა აკურთხა პლისუბნის საეკლესიო სამრევლო სკოლის შენობა, რომელიც, როგორც ჩვენმა მკითხველებმაც უწყიან, ააშენა თავის ხარჯით ახ. ბ. ნ. ს. ჩიკვაიძემ. ამასთანავე ბ. ჩიკვაიძეს განზრახვა ჰქონია დაარსოს ამგვარივე სკოლა ქალებისათვისაც და შესწიროს ადგილი, რომ ბაღოსნობა ასწავლონ მოსწავლეებს.

* *

29 სექტემბერს, დღით კვირეს, ქუთაისის წმ. გიორგის ეკლესიაში შესრულებულ იქნა წირვა და წირვის შემდეგ პანაშვიდი განსვენებულის თ. მამია შურიელის სულის მოსახსენებლად. წირვაზე და პანაშვიდზე მრავალი ხალხი დაესწრო. განსვენებულის საფლავზე რამდენიმე გვირგვინი იყო დადებული მისი პატივის მცემელთაგან.

* *

თან-და-თან ჩნდება, რომ განსვენებულს მამიას იმ ლექსებს გარდა, რომელნიც უკვე დაბეჭდილნი

*) ესთხოვთ (ივერიის) რედაქციას ეს უკანასკნელი ჩვენი პასუხიც შეატყობინოს თავის მკითხველებს.

არიან, ბევრი ხელ-ნაწერები ჰქონებია. ამ ხელნაწერებს დღეს ბერს ოჯახებში პოობენ.

როგორც გავიგეთ, ოზურგეთში ერთ ვილაცა მესტამბეს უკისრნია მამიას ყველა ნაწერების ერთად დაბეჭედა და გამოაცემა ავტორის ბიოგრაფიითა და სურათით. სასურველი კი იყო, რომ მამიას ყველა ნაწერების დაბეჭედა ეთავებო განსვენებულის მონა. თესავებთან შეთანხმებით უფრო სამედიკალინო და ამ ნაწერების დაბეჭდვის ნება-რთვა მიეღო პეტერბურგში ისე, როგორც ბ. შახბეგის თხზულებათა დაბეჭდვის ნება მიიღეს.

* *

საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტარის პროკურორის თანამდებობის აღქასრულებლად და კანცელარიის მმართველად დანიშნულია კოლ. სოვეტნიკი ბ. რუშინსკი, უწმიდესი სინოდის უფროსი მდივანი. ბ. რუშინსკი პარველად სასულიერო კანსისტორიაშიდ მახურებდა მდივად და კარგი ხანია, რაც გადაყვანილ იქნა უწმიდეს სინოდში უფროს მდივანად.

* *

ჩვენ მივიღეთ 1892 წლის ბ. ბუნიაშვიან ახლად შედგენილი სახალხო კალენდარი. ძალენდარი შეცდომებით საესეა. მაგალითად: ყოველს გაცს, რამ. მელსაც კენჭის ყრის დრო მოუსწრობს, უკველად გულ-მკერდას საგანე ორი აზმინი და ორ ნასკვანი გერშაკი (!) უნდა ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კენჭს ან ამოადებინებენ. (გვერდი 71).

არ ეფიქრობთ, რომ მთელა დედა-მამისზე რამელიმე კაცს ამ სიგანე გულ-მკერდი ექნეს.

72 გვერდი. დაქარწინება მამის შეიძლება, რამ. ცა საქმრო არა ნაკლებ 18 წლისა და საცოლო 16 წ.

თუ ეს კალენდარი რუსებისათვის არია დაწერილი, მაშინ მართალი ბრძანდებით, ბ. ბუნია, და თუ ჩვენი ქართველი ხალხისათვისა, სცდებით.

84 გვერდი. სამურზაყანოს ეპისკოპოსია ალექსანდრე და კლადიკავასის პეტრე.

ქვესი თთევა, რაც სამურზაყანოს ეპისკოპოსი ალექსანდრე გარდაიცვალა. შავლად სამღვდლო პეტრეც დიდი ხანია გარდაყვანილია. ზემო აღნიშნულს ადგილებში ეპისკოპოსებად არიან: ალაფლორი და იოანნიკე. სასიამოვნოა, რომ ამისთანა და სხვა მრავალს შეცდომებს მოკლებულ იყოს სახალხო კალენდრები...



ს ა ი ს ტ ო რ ი ო მ ა ს ა ლ ა .

გ უ ჯ რ ე ბ ი

(გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა *).

1809 პატიოსანო მღვდელთა ნიკილოზ დეკანოზის მეფის ძე იოანე ბრწყინვალეს მარჯვენას გეამბორები. მერე წინამძღვარი ხომ გამოვიდა მონასტრის ეკლესიიდან და ნაჭაშნობა მისცეს. ახლა ის ეკლესია თავისი რიგით და სამკურნალო და მამულით შენთვის მოგვიბარებია. შენ იცი, როგორც რიგიანათა და პირნათლად მოიქცევი ეკლესიასთან და ჩვენ თანა ამ მამულის შემოსავლით რიგიანათ შენახვითა და ან მამულის მუშაობითა მერე თუ ვნახამთ შენს ერთგულებას ეკლესიისას ჩვენგანაც მაგიერის წყალობის მოიმედე იყავით მარტის ბ, ქორონიკონს უპც

1605... 1) დადებული და ქებული ყოველთა აგებულითა შემოქმედი, ყოველთა ხილულთა და არა ხილულთა... ქეშარიტი ქეშარიტისა მამისა მზე, სიპარიტისა ნათელი, ქეშარიტი ცხოვრება და ქეშარიტება დიდს ზრახვისა მამისა ანგელოზი, მწყემსი კეთილი, მესია იესო ქრისტე ღმერთი სახიერი კაცთ მოყვარე და საცნაურად მიწეზე ყოველთა მათ კეთილთა და სული წმიდა, რომელსა მამისაგან აქვს არსება და მამისა და ძისათანა თაყვანის ცემული სული წმიდა უფალი ცხოველს მყოფელი, ყოველად ძლიერი ყოველთა მხილველი, რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ, თენიერ რომელ მამისა იწოდების, მამა უშობელი და ძესა მამისაგან შობილი და სულსა წმიდასა, სული წმიდა მამისაგან გამოშვალვი და მამისა და ძისათანა თაყვანცემული, ესე

*) იხ. «მწყემსი» № 17, 1891 წ.

1) თუმცა თავი აკლია და არ სჩანს, რა შეუწირავს გიორგის, მაინც ვგუჯდავთ ამ გუჯარს, სხვაფრივ შესანიშნავს, ენა მომეტებული მდიდარეა ძველი ფორმებით და მართლმწერლობით. გარდა ამისა საყურადღებოა ეს გუჯარი როგორც სრული დაახლოებით «წყევლის წიგნი». მწვალებლებს იგი იხსენიებს მეტათ სასტიკად და გვიჩვენებს მათი სწავლის მცირედენ, თუნდ მხოლოდ სასულიეროს ცოდნას» ორიგენი, და ნესტორი ცნობილი ყოფილან ჩვენში.

არაან თუთებანი მათი გუჯამოვნება სამკურნალონი... სამება ერთარსება, ერთი ღააება, ერთი მეუფება შეურყენელი, წმიდა სამება, რომლისა დაწყება უცნაურ არს და ჰგვის უკუნითა უკუნისამდე და მეორმეცა ამინ კულად ყოვლად საგალობელისა და სავედრებელისა და უმეტესად ზეშთა აღმატებულისა ყოვლად წმიდისა, ყოვლად კურთხეულისა, ყოვლად უბიწმუნებელისა, რომელი არს მაყული ცეცხლი შეტებელი, უკლებანი სიწმიდისა, კერთხი არონისა, ნაყოფისა მის უკუდავისა გამომღებელი, კარავი ღვთისა დამტენელი, სახლი ღვთისა. საყდარი ქეორიგმი, ქალწული მარია დედა უმავაკოდ მშობელი, ღვთისა ემანოილისა რომელმან დიტია მუცელსა დაუტენელი იგი ცათა და ქვეყანისა ღვთისა დაქტენელისა ღვთისა დედისათა ძლიერებითა და შეწყვეთა სამაწილისა ჯვარისა ძელისა ცხოვრებისათა, რომელსა ზედა განკურთულ იქმნა უფალი ჩვენი იესო ქრისტე და განაპყრნა უბრწუნელი მკლავნი თუისნი მას ზედა ხსნისა და ცხოვრებისათვის ჩვენისა ძლიერნი და შემწენი ბანაკთა უსხეულოთა და უნიეთათა მწყობრთაგან ცხრა არვეთა და ცხრათავე დასთა ანგელოზთანა, შეწყენითა და ძლიერებითა სიტყუისა ღვთისა მქადაგებელსა ნაშობთა, ყოველთა უზესთავსა დიდისა მის ქრისტეს ნათლის მცემლისა იოვანესითა, კულად ძისა მის ქუხილისა მკერდსა ზედა მიყრდნობით ღვთისა მზრახულისა იოანე ქალწულ მახარებელისა და ღვთის მეტყველისათა, თავსმდებობითა და შუამდგომლობითა ათ ორთა მოციქულთათა, მინდობითა და შუამდგომლობითა ჩვენისა სიქადულისა სასოებისა და ცხოვრებისა სუეტის ცხოველისა ჯუარისა საუფლოსა და მირონისა ღვთით მყოფელისათა, წმიდათა და დიდთა მღვდელთმოდღართა, დიდისა ბასილი კესარიელისა, გრიგალი ღვთის მეტყველისა, იოვანე ოქროპირისა, ათანასი ალექსანდრიელისა, ნიკოლოზ მირონ ქალაქისა და საკურველ მოქმედისა და სხვათა მათ ყოვლად პატიოსანთა მღვდელთმოდღართათა და კანდიკრად მეოხ არაან წინაშე მეუფისა და კვალადცა შემწეთა მხნეთა მხედართათა დიდისა მხნისა გიორგისათა, დიმიტრი, თევდორე და თევდორისათა და დიდისა ეესათისათა და ყოველთავე ღვთისა სათნოთა მხედართათა და ღირსთა და ყოვლად სანატრულთა დედათა და ქალწულთა თეკლა, ირინა, მარინა, ბარბარა და ევატერინისათა და ყოველთა განშობრებულთა, დაყუდებით

მდგომარეობა, მესუეტთა, მეუღაბნოეთა და რავედენი სათნო ეყუნეს უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესა და კუალადცა სათნო ყოფად... აღმატებულო დედოფალო ღვთისმშობელო მარადის ქალწულო მარიამ კრულმცა არს ცათა შინა ზე და ქვეყანასა ზედა ქვე შეჩუენებულ და კრულმცა არს მხედარი და ცოცხალი მისი საყდარი, სამარე, მიწა და ფიცარი, მისი დაჯდომა და აღდგომა, მისი სმა და ჭამა, მისი ძილი და ღუიძილი, მისი სავარძელი, სარეცელი და ცხედარი მისი. კრულმცა არს შეიღთა კრებათა შეჩუენებითა ოთხთა პატრიარქთა მათთა მიმდგომთა, მიტროპოლიტთა, ეპისკოპოზთა და ქორეპისკოპოზთა, ¹⁾ ჯვართა და ქართლისა კათალიკოზ პატრიარქისა და მისთა სამწყსოთა ეპისკოპოზთა შეჩუენებითა და ჯვართა შემცა ეღების კეთრი გეზისი შიშთული იუღასი, მენისტება დიოსკორესი, დანთქმა ფარაოსი და თანამცა აბირონისი მესადარეისა ფსალმუნისა წყევასა მასზედამცა დაასრულებს ღმერთი ქრისტეს ჯვარის მცემელთანამცა არს ნაწილი და სამკვიდრებელი სულისა და ხორცისა მისისა ნესტორ და ორიგენე ყოველთა მწუღლებელთა თანამცა დაიმკვიდრებს. სული მისი და ყოველმცა გაგებული მისი მოიშლებისი და ნურათამცა სინანულითა იქმნების ხსნა სულისა მისისა ნურთამცა აღმოაცენებს ქვეყანა ნაყოფს მის კაცისათვის და ყოველიმცა ნაქონები მისი იავარი და ოხერი იქმნების და ამაზე ზემო წერილითა თუით ღვთაებისა პირითა და ყოველთა მისთა წმიდათა მადლითა და სხუანი რაოდენნი შეჩუენებანი სწორიან სიგელსა ამას შიგან მათ შეჩუენებით ყოველთავე წყულ და შეჩუენებულ იყოს კაცა იგი სულითა და

ხორცითა ²⁾ და ყოველთ სახლეულით მისითურთ, რომელმანცა ხელყოს შეწირულისა ამის ჩვენის შლად და მოკლებად იკადროს ყოველთამცა ამა სიგელეში წერის წყველით და შეჩუენებით კრულ, წყულ და შეჩუენებულმცა არს ხოლო დამამტკიცებელი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს და წმიდანმან ღვთისმშობელმან მარადის ქალწულმან მარიამ. დაიწერა მტკიცე და შეუცვალელებელი შეწირულობისა წიგნი და სიგელი ესე ქორონიკონსა სჰმ. (ხელმოწერილია გიორგი ³⁾).

1794 წ. ქ. სამი ოთხ აბაზ უზალთუნი
 ქ. საპერანგე ოთხი აბაზი
 ქ. საკაბე ექესი აბაზი.
 ქ. წითელი ლად იანი ხუთი აბაზი მდარე
 ქ. შილი აბაზი
 ქ. სუის ჩითი აბაზი.
 ქ. ალლის ჩითი აბაზი
 ქ. დაოლბანდი ერთი თაფი სამი აბაზი
 ქ. აალი განის ხელსახოცი ჩითის ათი შაური
 ქ. რკინა ლიტრა ათი შაური
 ქ. ტყეია სტილი შაურნახევარი
 ქ. მარილი ლიტრა სამი შაური
 ამათი გასაღები თორმეტი თუმანი არის ამ თვალბთა და სოფელთანვე პირობა გამოგირთმეგია ნახევარი ამათია და ნახევარი ეკლესიისა არის. ამ სალამათის გამოღებისათვის სხვა უფრო მეტსაც გეაძლევდა, მაგრამ მაგათ რომ მეტად მოინდომეს, ჩვენ იმათი ვირჩიეთ და ისევე დავეთხოვეთ და ახლა რაც ამაში სწერია ამის დაკლება არ შეიცლება ყველანი. ხელს ასე ვაწერთ. ქიხოსრო, ბარამ, იორდან ⁴⁾.

ანდერძის წერილი კოზმა ბერასა.

1785 ქ. წმინდანო მამანო! შემდგომად ჩემსა მოსულნო მე კოზმან ბერი ვსწერ ანდერძს ამას: მე რომ მოველ სამი კვამლი კაცი დამხვდა. არეინ იყო

²⁾ სუეველგან ასოს «ხარს» ხანად გასანავ (სიტყვები: ხორცი, ხელი, მხნე, მხედარი და სხვა) ენა საჭრითოდ ძველია, ფორმები იხმარება ხშირად ისეთები, რომელიც დარჩენილია ახლად მხოლოდ მთაში, მაგ. მოიშლებისი მაგიერად „მოიშლების“. შესანარჩუნავია: «თვის იწერება ათუისი»-დ და არა «თესი»-დ. (კაცისათვის).

³⁾ გიორგი აქ მოხსენებული უნდა იყვეს მეფე გიორგი მეათე (1600—1605), ქე სვიმონ პირველისა.

⁴⁾ ფუღის და საქონლის ფასობის შესწავლისთვის კაი მასალაა.

¹⁾ ქორეპისკოპოზი და ქორიკოზი ვანუშტისა ყურადღებით უნდა გაირჩეოდეს. ქორიკოზად იწოდებოდნენ მმართველნი კახეთისა მერვე და მეთერთმეტე საუკ. ეს სახელი უნდა გავრცელებულიყოს ჩვენში საბერძნეთიდან, სადაც იმპერ. ლევ I ბრძანებით ყველა პატარა ქალაქებს დაენიშნა საკუთარი ეპისკოპოზი, არამც თუ ქალაქებში, სოფლებშიაც კი დასდნენ ეპისკოპოზები. აქედამ წარმოსდგა ტერმინი «ხორეპისკოპოზი» (ეპისკოპოზი დაბისა). ქორეპისკოპოზი ჩვენი უდრის ხორეპისკოპოზს ბერძენთა. ქორიკოზი ვანუშტის აზრით, მეფის მონაცვალე იყო პროვინციაში. უსახუთოთ მიგვაჩნია ს. ს. ორბელიანის აზრით, რომ ვითომ ქორეპისკოპოზნი უსამწყსო ეპისკოპოზნი იყვნენ. ახლი გამოკვლევა, როგორც მოვიხსენეთ, ამის წინააღმდეგია და ქორეპისკოპოზს ასახელებენ ეპისკოპოზებად პატარა ეპარქიებში.

ეკლესიის შემწე, ჯავახის შვილი. ¹⁾ პატა მეკალოეთი იდგა უთხარა. მოდი ეკლესიისათვის გუთნიდეთ და დამეთქი უღელი ხარი ვაყიდე და მივეც და სულ ყმები ერთად დავაყენე სამწელოწადს უკან მილალატა მე თელავს ბატონთან გიახელით და შევეხებე აქ ეკლესიასთან გაჭრილი მიწა იყო ეს მოხან და არ დეჯერებინა წელსი სხვისი მაწაში და რომ გამაეშო ნიგოზს. ქვეშ შერევა მენი დასცემოდა და სამი კანბეჩი და ერთი კაცი მოეკლა და სულ ურმები დამეფანტნენ და ოცი წელიწადია აღარც ერთი დღეა მიხნია უნდა მქონდეს ხუთი ექისის წლის პურა და ახლა აღარც ერთი ლიტრალა მაქვს საქანელი კი დამახოცა ერთი ხარი მყანდა ლოპანტახელ იღვენ გზის შესაკრავათ იქ დაკლებოდა ჯავახიშვილი და ისიც იმის გულისათვის დამიკლეს მერეთ კიდეც ეს მოგხსენდეს ბატონს განაჩენი ებოდებინა მორჩაძისათვის და მამული ებოდებინა მე წინ (+) აღუდგე და ის განაჩენი მოეშალე მოვიდა შემოგვეხებე და ეკლესიას სამი თუმანი აღუთქვა და მივეც მამული და ახლა სიკედლიის მეტი აღარა გამოიმეტა რა სიკეთის მაგიერათ ეს მიყო ჯავახის შვილისათვის ორი საპალნე კულუხი არ მიუტია: ორმოცი საპალნე ღვინო მოუვიდა შარშანწინ ჯავახს შვილს კიდეც გასამრჯელო ერთი ფული არ მიუტია თევღარეს მიუტია ორი თუქანი კიდეც მაჩაქეს მევე ახალი მამული ბეჟან მღვიანბეგმა ჩასხა მაჯნები და ორს თუქანს დაპირდა ეკლესიისათვის და არ მოუტია ქ. დათუკაშვილი და მღვდლის შვილი ჩემი დაყენებული არიან მამაშვილს არ უზამდა რომ მე ამათ სიკეთე უყავ ამათ აშენებული მამული მივეც და მე აუშენებელი მიწა დავიჭირე საენახედ: მამის მამულს გარდა დათუკაშვილისათვის მიმიცა ორი ბეთალმანი მამული მორჩილებისათვის და სამსახურის გულისათვის.. და რაც მე მიმსახურა და რაც ბატონს სამი წელიწადი კულუხი არც ერთისათვის არ გამომირთმევია, რომ ახალი დასახლებულნი ხართ და მამულს შევატეთ რამე ან ქვევრი და ან საწინახელი მეთქი ქ. დათაშვილს: ერთი ვენახი დაკარგული ქონდა მე რომ მოველ მოვკითხე და დავიხსენ და მივედათო შვილს მგორე მამული და ის ვენახი აქვს დღეს და სჭამს ლოპანტახედა არ წაფიდა დარბიეს და ერთი კანბეჩი წაართვის საბაბი მე დამელო, შენ მიხამო ხუთი მიწანთული

მე მივე: მასილებს და ის კანბეჩი დავიხსენ და მივეც ქ. კიდეც ეს მოგხსენდეს მე რომ მიველ ბეჟანას მამა დამთელი ოქროს მილის იასეს მამა ერთად იყვნენ სამს და რომ გაიყარნენ ვედავებოდნენ ეს ბიჭები და სხვას მამულზედ დავსახლე და წილი არ დაუდევ აბა ბეჟანასთან და სამის დღის მიწაც მიველკი გამარჯვებული ბეჟანას და დაუპირდა ეკლესიას ორს თუმანს და არ მოუტია.

ქმანოვლს აქვს ბეთალმანის ქვევრი საპალნისა მანველს მივე ბეთალმანი მამული ხეცს აქეთ ბეთალმანი არის ზემოთავამდინ და ქვემო ხეცამდინ დაიწერა წიგნი ესე მეც სიკეთე მიქნია ამათხედა და არც შეუძლიანთ დაფიცება იმიტომ დავსწერე მე ეს წიგნი რომ დამმარხნენ დაიწერა წიგნი ესე მისს ზ უმღ ქ. ერთი კიდეც მოგხსენდეს: გუტია ნაცელის დროს რამაზ დიონბეგის სარინან ზალ და იასაული ლალახანის შვილი მობრძანდნენ მანოვლს რომ მამული უჭირავს იქა და მაშინ ვაუწყე სადამდინ გუტიას მამული იყო და სადამდინ ბეთალმანი ესე მითხრა გიზამ მანამ მოვეკლები ნუ გამოართმევ და მასუკან ეკლესიის არისო ყველაზედ ჭინახული დამიღვა ყველამ უნდა დამარხონ და ჩემი სამარხი გაილონ თუ არა სამართალში ბეთალმანები ისეე ჩამოართოს და ეკლესიისათვის დაიღოს თუ თავის ნებით არ დამარხონ სამართალში გასჯიეთ თუ ასე არ აღასრულოთ საუკუნოსა მამასან პასუხი გამცენ ჩემი მამლელი და მლოცველი სოდაშნის მღვდელი მოსე და სიკედლიის დღის მოძღვარი ეს არის და ამაზედაც მოწყალეება ყავთ დეკემბრის ექვს უმღ. ¹⁾

კოზმა ბეჩი ეფთვაძე.

1787 წ. ლმერთმან ბედნიერის ხელმწიფეს ჭირი მოსცეს მთაწმინდის იაკობას. ამას მოვასხსენებთ მოწყალეს. კოზმა ბერმა თავის სიცოცხლეში ჩემგან ერთი თუმანი ვალად აიღო და თამასუქი მომცა და თავისი ყმანი მოწამელ მიწერია და იციან:—

ამას გვევდრებით. ერთი ოქმი და იასაული მიბოძოთ, რომ ვისაც მისი მამული და მოადგილობა ქონდეს. და ებაროს:—რომ ეს მისი აღებული თეთრი გამოგვართვას და მოგვეცეს ივლისის მ ქ. კს უმღ (ბეჭედი) უფალო წინამძღვარო ვფეთიმე იმისი. მოადგილე ხომ თქვენა ბრძანდები, და ამისი. პასუხი თქვენ უნდა გასცეთ. კათათვის მ ქ. კს უმღ.

¹⁾ თითველ სიტყვებს აქვს დასმული წერტილი.

¹⁾ ისევედგება ორი გუჯარი კიდეც, რომელიც შეეხება აქ კოზმა ბერს.

1789 წ. ქ. მე საფარაშვილსა მელქიუსი კოზმინ ბერს. ცხრა მინანთული და სამი აბაზი. მართე და სნეულბაში აღებული წინამძღვარის... ეფთვიმისაგან სრულიადა: და არის მისი მოწამე. თვალ-ოქროშვილი. ზეჟან. და ძე გიორგი. ღვდელსა დამიწერია და მოწამეცა ვარ. აღიწერა თებერვალის იმ, ქ-კს შპს.

წინამძღვარი ეფთვიმე.

1799 წ. ქ. მომებარა ელიშერ ციციშვილი სალთხუცეს თქვენ უფალის წინამძღვრის ეფთვიმისაგან ოც და ექვსი თუმანი თეთრი თანე იყო და ორი თუმანი სარგებელი ეს მთლად მოგებარდა თქვენგან თამასუქი მქონდა, დამეკარგა. თუ გამოჩნდა ეს სადმე ბათილი იყოს ის. ამისი დამწერი და მოწამე თუმანიშვილი მდივანი მისის ბ ქორონიკონს შპს ამისი მოწამე ვარ ნაზირი გლახა.

1800 წ. მათს უწმინდესობას ბატონს ბიძა ჩვენს მოეწერა სფირილონ ანანიაშვილი რომ თავის განწესებას ითხოვს ესე გასინჯე და ეცადე კიდევ შეარჩეო ყოვლად სამღვდლო მთავარ-ეპისკოპოსსაო. ღვკანოზის სფირილონის საჩხელი მათს ყოვლად უსამღვდლოესობას მთავარ-ეპისკოპოსს პასიოსს გამოუტყდადეთ და ამათს ლაპარაკში დიახმეგი ვახუშტი და ჩვენი მოხელენიც თან დავისწართ. ყოვლად სამღვდლო მთავარ-ეპისკოპოსმან მოგვიგო იოსებ ანანიაშვილი და ნიკოლოზ მღვდელი ანანიაშვილი სფირილონ ღვკანოზის სახლის კაცნი არიან მოწილენი არიან და სამს მთავარ-ეპისკოპოსსაც მოსწრებიან იმათ ღმერთი აფიკეთ და მიძინების ხატი და რასაც ისინი ფიციტ მოგახსენებენ რომ მთავარ-ეპისკოპოსის კირილეს ზესარიონის და იოანესის დროს სფირილონს ჰქონდეს სახელო ჯამაგირი, თუ სამწყსოდამ სარგო მეც ხელს მოუწერ და მიესცემო ჩვენ იოსებ ანანიაშვილს და ნიკოლოზ მღვდელს ღვკანოზის ფიციტ ეკითხეთ და ასე იმოწმეს ღვკანოზობის ჯამაგირი არც ბესარიონ მთავარ-ეპისკოპოსის დროს და არც იოანესის დროს არ გვინახაძს რომ ამათ მივსცეთ რამე სფირილონისათვისაო თორემ ბარათები ექნება და თუ საიღუმლოდ იღებდა არ ეიცითო. დრამილამ მესამდს ვიღებდით და ახლაც ვიღებთ საკანონოში წილი არა გვაქვს მაგრა ჩვენს საგაქათ მთავროში საკანონოს ჩვენ გავარჩებდით და რომ მოვართმევდით გვიბოძებდა რასმე თუ არა

თავისი ნება იყო და ჩვენს განწესებას სამოხელიოს კანონს ქვეშ მყოფობისაგან ავიღებდითო. ნიშანს რომ ავიღებდით და მოვართმევდით ერთს რასმე გვიბოძებდა და ჩვენს განწესებულს სამოხელიოს მიცვალეხულის პატრონისაგან ავიღებდითო მთავარ-ეპისკოპოსის წილი სამამათ მთავრო რომ არის მამა ჩვენებიც ბევრს ცდილან ჩვენც ბევრს ვეცადენით ამ სფირილონის მამაც ბევრს ცდილა და ეს სფირილონიც ბევრს ეცადა, მაგრამ ვერ ვიშოვეთო. ამ მთავარ-ეპისკოპოსმა პასიოსმა რა მიზნით დაიხემა არ ეიცითო და ჩვენ ასე განვაჩინეთ მთავარ-ეპისკოპოსის წილი მამათ-მთავრომა, რადგან ამ ყოვლად სამღვდლოესობას მთავარ-ეპისკოპოსს პასიოსს მიუყვია ამისი ნება მისის ყოვლად უსამღვდლოესობის მთავარ-ეპისკოპოსის პასიოსისა არის, მისცემს თუ არა. ნიშანი თავის სახელოში სფირილონ ღვკანოზს ააღებინოს, რომ მიართოს რასაც უბოძებს ნება მთავარ-ეპისკოპოსს, სა და განწესებული სამოხელიო მიცვალეხულის პატრონისაგან აიღოს. საკანონოს თავის სამამათ-მთავროში სფირილონ ღვკანოზს გაარიგებინებდეს საკანონოში საქმე არა აქვს რა სფირილონსა და თუ უბოძებს რასმე ყოვლად სამღვდლო მთავარ-ეპისკოპოსი თავის ნება არის და თავის განწესებას სამოხელიოს კანონს ქვეშ მყოფისაგან აიღებდეს. დრამილამ მესამედი თავისი ნაწილი უნდა მიეცეს ღვკანოზობის ჯამაგირისა, რადგან სანატრელს პაპს ჩვენს უბრძანებია ღვკანოზისა საქმეს ჩვენ მოგვითხამთო და თუ სამართლიანი მიცემა იქნება ჩვენ გაუჩნეთო ეს მისის უმაღლესობის ბატონის მამის ჩვენისა ჭმისის უწმიდესობის ბატონის ბიძის ჩვენის ნება არის: ივნისის ქ ქს შპს: რადგან რომეკურთხეულს ბატონს პაპაჩემს ეკკლესიის შემოსავალი შუა გაუყვია. ნახევარი საყდარს უნდა მოხმარდეს და ნახევარი მთავარ-ეპისკოპოსმა უნდა მოიხმაროს ამ ჯამაგირის საქმე ამისთვის დავადვეით ნება ახლა მისის უმაღლესობისა და მათის უწმიდესობისათვის აღსაუღლდეს.

ჩვენ შევე სრულიად ქართლისა კახეთისა და სხვათა მეთსამეტე გიორგი ამ განაჩენს ვამტკიცებთ სეკდემბერს ლ: ქს შპს. 1)

ჩვენ სრულიად საქართველოს უფლისწული მეფის ძე დავით ვამტკიცეთ განჩინებასა ამას. მარტის ძს ქს შპს

მეფის ძე ბაგრატ ვამტკიცეთ ნოემბრის 16 წ. 1800 მეფის ძე თეიმურაზ ვამტკიცებ ნოემბრის იმ ქ-კს შპს.

1) ეს ის წინამძღვარი ეფთვიმე უნდა იყოს, რომელიც კოზმა ბერის ვალს იხდის. (ნახე სამი გუჯარი შესახებ კოზმა ბერისა).

1) საყურადღებოა ჩვენი სახელმწიფოს წესწყობილების და სამართლის წარმოების შესასწავლად. ეს არ უნდა იყოს პაისი იერუსალიმის პატრიარხი.